წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 17 ნოემბერი

საქართველო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ჰეტიტით ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი ჰეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ. უკან 20 კაპ. ოფიციალურ განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში

№ 487 ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. №•487

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი.

რომელიც, წესდების § 34-ის თანახმად, მდგომარე 1916 წლის 4 დეკემბერს იწვევს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად, უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრად ჩაწერის მსურველთ

დეკემბრის პირველ რიცხვამდი შემოიტანონ განცხადება და წარმოადგინონ საწევრო თული.

ეოველგვარი ცნობისა და განცხადების დაბეჭდილი ბლანკის მისაღებად უნდა მიმართონ კომიტეტის საზინადარს ა. ი. კრინიცკის დღის 12 საათიდან 2-დი.

(ქ. ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომი).

ქ. თბილისში დაარსდა

მელნის ქარხანა „ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ასდის კვადსადებადაც (კაბიროვკა) კარგი.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან:

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

სისხლის მსმელი (თავი) ვჰენად და მერსის რომანის პირველი სერია.

სახუმარო. **რომელი!?** სახუმარო.

სანონსი: ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

კატე ჟურნალი

მსოფლიო ამბები

სიკვდილის ხვევნა

დრამა 5 ნაწ. პროლოგით.

პრენსი დაატყვევეს ძლიერ სახუმარო.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ეოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ბუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ექიმი ი. ჩარიეფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. სამხრეთ ნაწილში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

კავკასიის ასპარეზი. მთელ ასპარეზზე მოწინავე რაზმების შეტაკებანი ხდება.

დასავლეთის ასპარეზი. აღსანიშნავია გერმანელების არტილერიის ენერგიული მოქმედება თითქმის მთელ ასპარეზზე. შამპანში მფრინავებმა გერმანელთა რამდენიმე იერიში მოიგერიეს.

რუმინეთის ასპარეზი. ზიმნიცასთან დუნაიზე გადასული მაკენზენის ჯარი მდ. ვედეს ველით წინ მიიწევს და რუმინეთის მცირე ვალახეთში მომქმედ ჯარს აღმოსავლეთით უვლის. ბულგარლებმა რუსე დე-ველდე აიღეს.

მაკედონიის ასპარეზი. მაკედონიის ჩრდილოეთით სასტიკი საარტილერიო ბძოლა სწარმოებს.

— ბულგარელებს ყველა ბერძნები, სერბიელები და მაკედონელები, რომელნიც ბულგარეთში იმყოფებიან ჯარში იწვევენ.

„უტრო როსიაში“ ბურსკი სწერს; აღმოსავლეთ ასპარეზის სამხრეთ ნაწილში გერმანელებმა „არა ჩვეულებრივი მტკიცე სიმაგრეები“ აღმართეს; ამან საშუალება მისცა მათ აქედან ჯარი ტრანსილვანიაში გადაეყვანა. გერმანელები მცირე ვალახეთში ჩააყენეს და „შემტევი ჯგუფი“ შეადგინეს, ხოლო ავსტრიელები და ოსმალონი დანარჩენ აღაგებში გაანაწილეს.

— „რუს. ვედ“. სამხედრო მიმომხილველი მცირე ვალახიაში უკან დახევას იმითა ხსნის, რომ რუმინელებმა მთავარი ყურადღება ტრანსილვანიის ბრძოლის პირის აღმოსავლეთ ნაწილს მიაქციეს სახელდობრ იმ აღაგს, სადაც ვალახეთი მალდავიას უერთდება ვიწრო ყელით რომლის სიგძე სულ 150—200 ვერსტს უდრის. რუმინელები სწორედ აქ მოელოდნენ გერმანელთა შეტევას ორი მხრიდან ტრანსილვანიიდან და დობრუჯიდან. ეს რომ მომხდარიყო, რუმინელებ მთელ ვალახეთს დაჰკარგავდნენ. რუმინელებმა ამის წინააღმდეგ ზომები მიიღეს; და ამავე დროს გერმანელები მცირე ვალახეთში შემოიჭრნენ.

სამხედრო მიმოხილვა

რუმინეთის მდგომარეობა თანდათან უფრო რთულდება.

მთავარა მნიშვნელობა ამ მდგომარეობის გართულებაში იმასა აქვს, რომ გერმანელებმა სრული არეულობა შეიტანეს რუმინიის ჯარში.

დეზორგანიზაციას კი ახდენს მუდამ მოულოდნელი და მედგარი შეტევა

ამ შემთხვევაში გერმანელები სამაგალითო სიმტკიცით იცავენ სამხედრო ხელოვნების კანონებს, რაც ეჭვი არ არის, მათ დიდი ხნის მზადებას უნდა მივაწეროთ.

გენ. ფალკენჰაინის ჯარმა ჯერ უკან დაიხია და მაკენზენმა კი ისარგებლა რუმინელების მოუმზადებლობით რუმინიაში, მედგრად შეუტია და სწრაფად წინ წაიწია, მიაღწია საგრძნობ შედეგებს და შეჩერდა უკვე მაშინ, როდესაც დობრუჯას რუს რუმინელების აუარებელი ჯარი მოაწყდა.

დობრუჯაში მოქმედება ჯერ არ იყო შეწყვეტილი, რომ ფალკენჰაინმა მთელი ტრანსილვანიის ბრძოლის პირზე შეუტია რუმინელებს, გადალახა საზღვრები და ბოლოს აშკარად გამოირჩა ამ ბრძოლის პირზე კრონშტადტ-ბუქარესტის მიმართულება, რომელსაც ფალკენჰაინმა მთავარი ყურადღება მიაქცია და ტრანსილვანიის საზღვრიდან 30—40 ვერსითაც წინ წაიწია.

რუმინელები ის იყო ასრულებდნენ დობრუჯაში ჯარის გადაყვანას, რომ მოულოდნელად ბუქარესტის მიმართულების დასაცავად დასჭირდათ ჯარი; დობრუჯიდან უკან ჯარის გადმოყვანა ვერ გაბედეს და პირიქით შეტევაც კი დაიწყეს იქ და ისევ დასავლეთ ვალახიიდან და დუნაის ბრძოლის პირიდან მოიშველიეს ჯარი.

ის იყო ქედს უღუნავდნენ რუმინელებ ბუქარესტიდან გალაშქრებულ გერმანელთა ჯარს, რომ რჩეულმა გერმანელთა ჯარმა მდ. ჟიუს ველზე შეუტია რუმინელებს, სულ რამოდენიმე დღეში 100 ვერსით წინ წავიდნენ და აღმოსავლეთისკენაც იბრუნეს პირი.

ეხლა მცირე ვალახიამ მიიქცია რუმინელების ყურადღება; დობრუჯიდან და კრონშტადტის მიმართულებიდან რუმინელებმა ჯარი ვერ დასძრეს, რადგანაც ამ ადგილებში მედგარი ბრძოლები გრძელდებოდა; ასე, რომ კრაიოვას გადმოცილებულ გერმანელთა ჯარის შესაჩერებლად ისევ დუნაის ხაზი შეასუსტეს, რასაც მცირე ვალახიაში მომქმედ რუმინელთა ჯარისათვის საბედისწერო შედეგი მოჰყვა;

ბულგარელებმა ზიმნიცასთან დუნაის გადალახეს და რუმინელთა მცირე ვალახიის უკან დახეულ ჯარს გზა გადაუჭრეს და დღეს არა ხვალ კრაიოვადან წამოსულ გერმანელებს შეუერთდებიან.

ამნაირად მოულოდნელი, მედგარი და ყოველ მხრიდან ზედიზედ წარმოებული ძლიერი შეტევით გერმანელებმა რუმინეთის ჯარის მთავარსარდლას გზა—კვალი აუბნიეს და არც ერთხელ მოსვენება არ მიუციათ, რომ გამორკვეულიყნენ და რაიმე ელონათ

შეტევათა მთელი რიგის სიმარდემ პირდაპირ გააბრუა რუმინელები, რასაც სტრატეგია ჯარის დეზორგანიზაციას უწოდებს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ეს მოხდა არა იმიტომ ვითომ რუმინელები ცუდი მებრძოლნი იყვნენ, ანდა მათი სტრატეგიული პირობების გამოყენება არ შესძლებოდეთ არამედ მხოლოდ, იმიტომ რომ 1) იმ დროს, როდესაც რუმინეთი ყოყმანობდა და არ იცოდა ჩაერევოდა ომში თუ არა გერმანელები ომის საწარმოებელი უკანასკნელ საშუალებას წინდაწინვე ართმევდნენ მრავალი ომისათვის საჭირო მასალა ფულით შეისყიდეს, და თვითონ კი საზღვრებს ამაგრებდნენ; რუმინიის გამოსვლის წინ ხშირი იყო მოვლენა, როდესაც გერმანელები რუმინიასა და ავსტრიას შორის მიმოსვლას 1—2 კვირით სრულიად სწყვეტდნენ და ამ ხანში ჯარსა და სამხედრო მასალას აგროვებდნენ საზღვარზე;

რუმინიამ მხოლოდ ომში ჩარევის შემდეგ დაიწყო ჯარის ახალი გადაჯგუფება

ამას გარდა ტეხნიკურ საშუალებათა და არტილერიის მიხედვით, გერმანიის კოალიციის ჯარი რუმინელებთან შედარებით დიდ უპირატესობით სარგებლობს. ამ მხრივ დღეს გერმანელებს ინგლისი და საფრანგეთი ძლივს უწევს მეტოქეობას და ამბა, რა უნდა გაეწყო მათთან რუმინიის ჯარს რომელსაც ურმების საკმაო რიცხვიც კი არა ჰქონდა ტყვია წამალის და სურსათის საზიდავად.

არის ერთი მიზეზი კიდევ იმისა, რომ ისე სხარტად აწყობდნენ და აწარმოებდნენ გერმანელები:

დღიდან ომის დაწყებისა შენიშნულია, რომ გერმანელები თვით გეგმის საიდუმლოებას შესანიშავად იცავენ ბოლომდის და მოპირდაპირისათვის სრულიად მოულოდნელად იწყობენ ხოლმე მოქმედებას.

ამ გარემოებათა გამოისობით მიაღწია გერმანეთის მთავარსარდლობამ თითქმის მთელი დასავლეთის ვალახიის დაპყობასა და რუმინეთის ჯარის დეზორგანიზაციას.

შვერელი.

ქ. ქუთაისი 17 ნოემბერი.

სიმშილობაა, მაშ რა ვუყოდოთ! ქუთაისში, სადაც თითქოს ყველა სანოვაგე მოიპოვება, ნამდვილი სიმშილობა ჩამოვარდა! ამაში დაგვეთანხმებიან არა მდიდრები და ჩინოსანნი, არა მიკიტნები და რესტორანის პატრონები, არა პოლიციელნი და ვაჭრები, არამედ ღარიბი და უმწეო ქუთათურები რომელთაც ეს რამდენიმე დღეა ლუკმა პური ვერ უშოვნიათ და ბავშვები სიმშილით ეხოცებათ.

რა გვეშველება, როგორ უნდა მოეუაროთ საქმეს, როგორ უნდა აილაგმონ მეპურეები, ყასპები, მეწვრილმანეები, ალაფები, ჩარჩები და თვით სოფლის გლეხებიც კი, რომლებიც ქალაქის მოვაჭრეთა მაგალითით წაქეზებულნი, სწორედ უტიფარ ჩარჩებათ გადაქცეულან და ვაჭრების ჯიბრით დავიწყებიათ ყოველივე ადამიანობა!....

ერთის სიტყვით, მოგების სურვილმა და იმ უწესრიგობამ, რომელიც გამეფებულა ქუთაისის ბაზარზე—კაცი კაცს მგლად გადაქცია, ადამიანს ადამიანობა დააავიწყებინა!

გაქრა ყოველი კეთილი აზრი, და მხოლოდ ძარცვა-გლეჯა გამეფებულა, ძარცვა-გლეჯა დაუფარავი, აშკარა ყოველივე ნამუსსა და სინიდისს მოკლებული!...

წელანაც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებთ, სანოვაგე—პური მაინც, — არ უნდა აკლდეს ქუთაისს, მაგრამ უპატრონობის გამო, კაცმა აღარ იცის სად, ვისთან იშოვოს ეს პური?

ფურნეები მთელი დღე დაკეტილია. მეფურნეები უკმეხათა და უზრდელად ის ტუმრებენ მუშტართ,—სიმშილით ხოცვენ მათ, იმ დროს, როცა რესტორან—სამიკიტნოებში პურს ყოველთვის იშოვით,—მამასისხლად, ოქროს ფასად, რასაკვირველია!.. საკვირველია აგრეთვე, რომ საკანდიტეროები და სარძეველები სავსეა „კულიჩებითა“ „პეროჟნებითა და სხვა გვარ ნაზუქებით და უბრალო პურს კი ვერ იშოვი!

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ იმას რომ ღარიბებს თვალები დაებრიცოს და ბოლმით გული აევსოთ?

თუ ფქვილი არ არის და პური არა ცხვება, ეს მიკიტნები სადღა შოულობენ?

ალბათ აქაც რადაც ეშმაკობა უნდა იყო და უმატებენ რა მეპურეებს გირვანქაში ორ სამ კაპეიკს, ეს მეფურნეებიც მხოლოდ მათთვის აცხობენ პურს!

რა, რა ჰქნას მდაბიო ხალხმა? რითი გამოიკვებოს?...

სად არის ქალაქის გამგეობა? სად არიან ბაზრის ზედამხედველნი? სად არიან ყველა მაღლა მყვირალანი და ხალხისათვის ვითომდა თავდადებულნი? ნუ თუ არ შეიძლება ალაგმვა ჩარჩებისა, ნუ თუ არ შეიძლება მოწესრიგება საქმისა?

შეიძლება, მაგრამ ვაი რომ ყველა გაურბის თავ-გამოდებას და თავისთვის იპუჭკება! დრო არის, ბატონებო, ვიღონოთ რამე, მოვსთხოვოთ მთავრობას, და ქალაქის გამგეობას, რომ დაარსონ განსაკუთრებული ბიურო მოქალაქეთაგან ქუთაისის ბაზრის მოსაწესრიგებლად, თორემ ერთ უბედურ დღეს მთელი ქუთაისი დაიმშევა და ჩარჩ ვაჭრების საწყობებში კი გადამალულ სანოვაგეს მატლები დაეხვევა.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ბაზარში თურმე ჭირიან საქონლის ხორცს ჰყიდიან, ღვინოსა და რძეში წყალს ურევენ, ლობიო რა არის ლობიო, იმასაც კი კენჭებსა და მიწას ურევენ, რომ წონაში მძიმე მოვიდეს!

ეს ვაჭრობა და აღებ მიცემობა კი აღარ არის; ეს მასხარად აგდებაა თავის თავისა და მთელის ქვეყნისა, ეს დაცემაა მთელის ხალხისა, ეს მაჩვენებელია მთელი ქალაქის გაუბედურებისა!

ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ!

ახალი რეაქციონერთ ერეკვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს უეჭველია გააკვირებდა ერთი გარემოება, რომელსაც უკანასკნელ დროს. ადგილი ჰქონდა რუსეთის შინაგან ცხოვრებაში.

როდესაც მოახლოვდა სათათბიროს მოწვევის დრო, უმაღლეს ბიუროკრატიულ წრეებში გაცხარებით იწყეს სჯა იმის შესახებ დაიახლოვონ სათათბირო და სახელმწიფო საქმეებში თანამშრომლად მოიწვიოს იგი, თუ წინანდებურად მისი დევნა და ტუქსვა განაგრძონ.

გაზეთების სიტყვით მინისტრთა უმრავლესობა იმის მომხრე გამოდგა, რომ უფრო პროგრესიული პოლიტიკური კურსი აეღოთ და ხალხის წარმომადგენლებისათვის ხელები გაეწოდებიათ ერთად მოქმედებისათვის. ამ მიზნით ორმა მინისტრმა დეპუტატთათვის საამო სიტყვებიც წარმოთქვეს; და „ერთად ერთი შემარჯვენი მინისტრი“ ბ. ი. შტიურმერიც სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორეს.

ერთის სიტყვით, ბევრმა ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანა მთავრობის ამ მოქმედებიდან, რომ თითქოს აქამდე სრულიად შეუძლებელი რამ მოხდა და მოულოდნელად ბიუროკრატიამ თავისი ბერი—სათათბირო შეიყვარა.

მაგრამ ეს მხოლოდ კადეტების ილიუზია გამოდგა, რომელთაც მწუხრის ხმა საზეიმო გალობათ მოესმათ და მთავრობასთან ერთად ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ შრომის ნეტარებას წინასწარ მიეცნენ.

ამისათვის კი კადეტებმა, რომელნიც „პროგრესიულ ბლოკის“ სულსა და გულს შეადგენენ, საჭიროდ დაინახეს ბლოკის დეკლარაციის კილოს შესუსტება, რომ იგი უფრო მისაღები ყოფილიყო მთავრობისათვის და ასეც მოიქცნენ.

ჯერ ეს კომპრომისი უნდა ჩაითვალოს თავის თავად ბიუროკრატიის გამარჯვებად, მაგრამ ამას მოყვა ბლოკის მეორე დამარცხება:

მისი მარცხენა ფრთა, პროგრესისტების ფრაქცია, სწორედ ამ კომპრომისის დათმობის გულისათვის სრულიად გამოეყო, „პროგრესიულ ბლოკსა“ და რიცხვით შესუსტებულმა ბლოკმა უფრო მარჯვნივ გადაიწია.

ამას მიეშატა მესამე უბედურება, როგელიც სულ ამ ბოლო დროს გამოაშკარავდა და რაც ერთის მხრით ფარდას ხდის ბიუროკრატიის ნამდვილ სულის კვეთებას და მეორეს მ-რით ქვიშაზე სტოვებს კადეტებს

პეტროგრადიდან მოსულ უკანასკნელ ცნობების მიხედვით „პროგრესიული ბლოკი“ ორად გაყოფილა შემდეგი საკითხის გამო: დაუახლოვდეს ა. ფ ტრეპოვის მთავრობას სათათბირო თუ არა.

კადეტებმა, რასაკვირველია არა სცნეს იგი სათათბიროს საკმაოდ გულწრფელ მეგობრად და გადასწყვიტეს: მოუცადონ მის მოქმედების გამოაშკარავებას.

ხოლო ბლოკის მარჯვენა ფრთამ, ოქ-

მსოფლიოს ერთობა.

ორგანიულისა და არაორგანიულის ერთობა.

(იხ. „სამშობლო“ № 486)

კაცის (როგორც ცხოველის) სხეული შესდგება, როგორც ზევით ვთქვით, 16 ელემენტისაგან. მეორე მხრით, ჩვენი სხეულის შემადგენელი რთული ნივთიერებანი არიან: ცილები, ნახშირ-წყლები, ქონები და ზოგიერთი მარილი. ამიტომ, საზრდოდ ხორცსა და მცენარეულობას ვხმარობთ, რომელნიც ხსენებულ ნივთიერებათვე შეიცავენ. და არაფერი არა ჩნდება სხეულში ისეთი, რასაც სხეულივე საზრდოსთან ან სასმელთან ერთად არ შეისვამს.

მთელი ის ნახშირდედა, რომელსაც შეიცავს სხეულის მიერ შეთვისებული, შესმული საზრდო, განიგდება სხეულიდან, როგორც შემადგენელი ნაწილი ფილტვის მიერ აღმოფშვენილი ნახშირჟანგისა (CO_2) (10%), შარდდედისა და ზოგიერთის სხვა აზოტიანი ნივთიერებისა, რომელიც შარდში და ნაყრშია (10%).

სხეულის მიერ შესმული, შეთვისებული საზრდოს მთელი აზოტი 24 საათში განიგდება სხეულიდანვე, უმთავრესად, როგორც შარდდედის ელემენტი, მცირეოდენად (2%), როგორც ჟარდის სიმჟავის, კრეატინისა და სხ. ელემენტი, და ერთობ მცირე, როგორც ფილტვებით აღმოფშვენილი ორთქლის ნაწილი.

ამას გარდა სხეულს ყოველდღე ეკარგება 50 მილლიგრამი თმა, ფჩხილები, ქერცლი რომელნიც აზოტს შეიცავენ. მცირეოდენი აზოტი გამოაქვს ოფლსაც.

საუმლის ის აზოტი კი, რომელსაც სხეული არ ითვისებს, ნაყრთან ერთად-გამოიყრება

შეთვისებული საზრდოს წყალდედა უმთავრესად წყლად იქცევა (ჟანგდედასთან შეერთებით), მცირეოდენი ნაწილი კი სხვა გამოსაყრელ ნივთიერებებში შედის.

ჟანგდედა, რომელიც, როგორც ელემენტი, შეთვისებულ საზრდოში შედის, სხეულიდან უკანვე განიგდება, როგორც ნახშირჟანგის (CO_2) და წყლის (H_2O) შემადგენელი ნაწილი, და მცირეოდენი აგრეთვე, როგორც შემადგენელი ელემენტი სხვადასხვა გამოსაყრელი ნივთიერებისა (შარდდედისა და სხ.).

მარილები, რომელიც სხეული სისხლში შეისვამს, განიგდებიან, უმთავრესად, შარდთან.

საზრდოს ის მარილები კი, რომელნიც წყალში ძნელად გაიხსნებიან, აგრეთვე კალის მარილები—ნაყრთან ერთად-განიგდებიან.

შეთვისებული საზრდოს გოგირდის უმეტესობა ნახევარი განიგდება შარდთან (როგორც გოგირდის სიმჟავის მარილები) და ნახევარი ნაყრთან (ტაურინი) ან ქერცლთან ერთად.

როდესაც სხეულის წონა არ მატულობს, მაშინ შესმული საზრდოსი და ჩასუნთქმული ჟანგდედის რაოდენობა უდრის გარეთ განგდებულ ნიკოთიერებათა რაოდენობას. და ეს წონასწორობა, მაშასადამე, სავსებით შეესაბამება ნივთიერებისა და ენერგიის შენახვის კანონს.

ცხადია, რომ ეს კანონი არც მაშინ ირღვევა, როდესაც სხეულის წონა მატულობს ან კლებულობს, რადგან ეს მომატება ან მოკლება იმდენია, რამდენადაც შეთვისებული საზრდო მეტია ან ნაკლებია გარეთგამოყრილ ნივთიერებებზე.

პირველი მეძიებელნი ნივთიერებათა ფიზიოლოგიური მიმოცვლისა იყვნენ: ბიშოფი, ვუატი (voif), პეტენკოფერი, რანკე, გრუბერი, ჰენნებერგი და სხ.

ნივთიერებათა ფიზიოლოგიურ მიმოცვლათა კანონებზეა დამყარებული სხვათა შორის სხეულის საზრდოობის მეცნიერული, ჰიგიენური მოწესრიგება.

კაცს სჭირდება დღე ღამეში 2. 700—2.800 გრამი (დაახლოვებით, 14 ჩაის ჭიქა) წყალი, რომელსაც სხეული მარტო წყლის საშუალობით კი არა, არამედ საჭმელთანაც ითვისებს, 130 გრამი (დაახლოებით, 33 მისხალი) ცილი, 84 გრამი (დაახლოებით, 21 მისხალი) ქონი და 404 გრამი (დაახლოებით ერთი გირვანქა) ნახშირწყლები, (შაქარი. სახამებელი და სხ.) ზოგიერთი მუშაობის დროს.

რაზედ არის დაფუძნებული ამგვარი განაწილება? მოსვენებულ სხეულში ინგრევა, იწვის დღე ღამეში 96,5 გრამი ცილი (უმთავრესად, როგორც საზრდო), ენერგიული მუშაობის დროს კი 107,6 გრამი ცილი. მაშასადამე, სხეულისთვის აუცილებელია 130 გრამი ცილის მიწოდება, რომ საზრდო ცოტათი იმაზე მეტი იყოს, რაც საჭიროა.

ტანმთელ სხეულში ქონი ოთხჯერ მეტი ინგრევა, იწვის, ვიდრე ცილი. ქონის ნაცვლად შეიძლება დაიწვას აგრეთვე ნახშირწყალი (შაქარი, სახმელებელი). მაგრამ ნახშირწყლების ადგილს მთლად ქონი ვერ დაიჭერს, რადგან სხეულის კუჭი ბევრ ქონს კარგად ვერ ინელებს (მხოლოდ ერბო და ზოგიერთი მცენარის ზეთია ადვილი მოსანელებელი) და იმავე დროს ნახშირწყლები უკეთ იწვიან, ვიდრე ქონები, ამიტომ საკმაოა ცოტა ქონი (84 გრამი) და შედარებით ბევრი ნახშირწყალი (404 გრამი). მეორე მხრით, ვერც ნახშირწყლები დაიჭერენ მთლად ქონების ადგილს, რადგან მათი შემცველი საჭმელი (პური, სიმინდი, ღომი, კარტოფილი, ბრინჯი და სხ.) ერთობ ბევრი უნდა სჭამოს კაცმა, რომ იპოოს საკმაო საზრდო, ე ი საწვავი მასალა, ამოყორვა, მეტისმეტად გავსება კი ასნეულებს კუჭს.

თუ პროტოპლაზმას საზრდო, ე. ი. ცილი, ქონი და ნახშირწყალი დაეკლდა, დისსოციაციის, ნაგრევის, ქმნადობა დაიწყება.

მაშასადამე ჩვენი სხეულისათვის ხსენებულ საკვებთა განსაზღვრული რაოდენობანი — აუცილებელია.

ის საჭმელი, რომელიც უმთავრესად ცილს შეიცავს (ხორცი, ყველი და სხ.), საჭიროა ერთსა დაიმავე დროს, როგორც სითბოს მომცემი და პროტოპლაზმის დანგრევისაგან უზრუნველმყოფელი და ამაშენებელი მასალა: ცილის მოკლება პროტოპლაზმას ანგრევს, იმავე დროს ცილი, როგორც აღმაშენებელი საზრდო აღადგენს პროტოპლაზმის ნანგრევებს, აგრეთვე ზრდის და ამრავლებს პროტოპლაზმას.

მეორე მხრით. როგორც სითბოს წარმომშობი, დასაწვავი, მასალა, ქონი და ნახშირწყალი სჯობიან ცილს, ამიტომ, ცილი—ქონისა და ნახშირწყლის (სახამებლის, შაქრის) მაგიერობას ვერ იქმს.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

ტომბრისტებმა, შესაძლებლად და საჭიროდ დაინახეს ა. ფ. ტრეპოვთან თანამშრომლობა.

ეს წინდაწინვე ჰქონდა ალბათ გათვალისწინებული მთავრობას, როდესაც პრემიერის თანამდებობაზე დაასახელეს ა. ფ ტრეპოვი, რომლის მოქმედება არც სულს ეუბნება რამეს და არც გულს;

ხოლო იმავე ბიუროკრატიას იმედი ჰქონდა, რომ ტრეპოვის სიტყვები — სათათბიროსთან მუშაობა შეიძლებაო — შესაფერ გავლენას მოახდენდა ბლოკის მარჯვენა ფრთაზე და იგი „მემარცხენე“ პრემიერს დაუახლოვდებოდა; ამასთანავე აშკარა იყო მისთვის, რომ რაც უნდა იყოს, 1906 წლის გმირის „არწივ“ ტრეპოვის შვილთან თანამშრომლობას კადეტები არ დათანხმდებოდნენ და „მაშასადამე“ ბლოკი ორად გაიყოფებოდა.

ამნაირად, მინისტრთა კაბინეტის „მემარცხენეობამ“ და სათათბიროს „თანამშრომლობამ“ შეარყია „პროგრესიულ ბლოკი“-ს მთლიანობა, რაც ფრიად დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაეთვალოს რუსეთს მეშარჯვენეებს.

კატონ კობახიძე.

ქართული პრესა.

თუ როგორ აწყობს გერმანია თავის შინაურ ცხოვრებას, ამის შესახებ გაზეთი „საქართველო“ სწერს:

გერმანიაში ახალი დაშქარი დგება, იმაზე უფრო მრავალ რიცხვიანი და საშიში, დღემდე რომ გამოგიდა ბრძოლის ველზე ეს არის შრომის დაშქარი, ნახევრად შეიდობიანი, ნახევრად სოციალ ორგანიზაცია, რომლის მსგავსს ჯერ არ მოსწრებია კაცობრიობის ისტორია. ყოველი გერმანელი მამაკაცი, ჩვიდმეტი წლიდან სამოც წლამდე, ვალდებულია ამ უზარმაზარ ორგანიზაციაში შეავიდეს საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად. იქ მიუჩენენ ცოდნისა, ნიჭისა და ძალღონის შესაფერ მუშაობას, რომელსაც მათ რამოდენიმე საათი უნდა შესწიროს დღეში.

ამ ახალი დაშქრის მთავარი ბიურო უკვე დანიშნულია. მას გენერალი გროენერი ხელმძღვანელობს. კანონ-პროექტი შემუშავებულია და ამ დღეებში ფედერატიულს საბჭოსა და რეიხსტაგს წარედგინება განსახილველად. უეჭველია რომ ეს კანონპროექტი მიღებულ იქნება და იძულებითი შრომის ბრინციპი შემადგენელ ნაწილად შევა გერმანიის ახალ კანონდებლობაში, რომელიც ბევრს სხვა მოულოდნელ ბრინციპებსაც შეიცავს.

გერმანიის მთავრობა საკანონმდებლო შრომის ბეგარს აწესებს. ამით ის სტდილობს მოსპოს განსხვავება ბეჯითსა და ზარმაცს, უქმსა და მომქმედს შორის და ყოველი გერმანელი მოქალაქე აიძულოს თავისი ენერგიის მაქსიმუმი სამშობლოს თავდაცვის საქმეში შეიტანოს.

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ოსტვალდმა გულზვიადათ განაცხადა, რომ მისმა სამშობლომ განვლო ინდივიდუალისტური დაქსაქსვის ხანა და ორგანიზაციის საფეხურს მიადწია. დღეს თვით მოწინააღმდეგენი სცნობენ, რომ დეპეშიგელი ქომეოსის განცხადება არ არის საგანგებით უსაფუძვლო. თუ გერმანელმა ერმა დღემდე ასე თუ ისე გაუძღო ძალერი მტრის იერიშებს, ეს სხვათა შორის მით აიხსნება, რომ მან გამოაშკარავა განსაცარი ნიჭი დისციპლინისა და ორგანიზაციისა, ეს ნიჭი კი დიდს უპირატესობას იძლევა საერთაშორისო შეტაკებაში.

დღეს, ჩვენ თვალწინ, გერმანიის შინაურ ცხოვრებაში ხდება სოციალური ცვლილება, რომლის მსგავსი საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, არ უნახავს დასავლეთ ევროპას. ძველი იდეები ირეკვა, ძველი ეკონომიური ურთიერთობა იცვლება. და დამახასიათებელია, რომ ამ თავისებური რევოლიუციის შეთავრად თვით კანონიერი მთავრობა გამოდის და არა ავანსებული ხალხი. თანამედროვე გერმანია სახელმწიფოებრივი კოლექტივიზმისკენ მიაბიჯებს.

მართალია გერმანელების თანამედროვე სოციალურ კანონმდებლობას დროებითი ხასიათი აქვს და ის თითქო მხოლოდ ომის დროისთვის არის შემოღებული, მაგრამ არ შეიძლება დღევანდელმა რადიკალურმა ზომებმა თავისი კვალი არ დასტოვოს ცხოვრებაში. მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოს როლი ნელ ნელა გაძლიერდება. ბირვნების თავისუფლება კი შეიბოჭება მოშავალში. ეს მოვლენა შეიძლება ზოგიერთმა სასიხარულოდ მიიმჩნიოს, ზოგიერთმა კიდევ სამწუხაროდ მისი დიდი მნიშვნელობის უარეოფა შეუძლებელია ყოველს შემთხვევაში.

ჩემი სიმღერა.

დამწუხრიანდა სულის სამეფო,
დღეს ჩვენი სიტყვაც სხვანაირია:—
სამშობლოს მოვსწყდით, მოვშორდით ძმები,
სიცოცხლე ჩვენი დანატირია

———

აენთო ცეცხლი მსოფლიოს რისხვით;
დასცალეს სისხლით ჩვენი გულები
სისხლადვე მჩქეფარ მრისხანების ზღვით,
მივსცურავთ ისრით განგმირულები ..

———

ნურვინ მოითხოვს ჩვენგან სიბრალულს,
ან ვით მრისხანე ლომთ შეჩერებას
ველარ ვგრძნობთ ტანჯვას და თვით სიყვარულს,
გულ მკერდს ვალესავთ შურის ძიებას...

———

ვინ იცის კიდევ ედიბ რას გვეტყვის,
სამშობლოს გმირი სად დაეცემა,
მკერდს ვინ შეგვიხვევს ვინ ზრუნავს ჩვენთვის,
ოდეს შეგვიწყდეს ჩვენ გულის ცემა...

———

შავად თენდება... ჩვენთვის სულ ბნელობს
დაგვისამარეს ცოცხალი ნება,
მხოლოდ ყვავილი მთებში სურნელობს
მამულის ცრემლით რომ ინამება. .

———

და რომ მოვკვდებით შორეულ ველზე
გულ-მკერდ დაფლეთილ—დასისხლებული,
გაგვახსენდება სიკვდილის ხელზე
ჩვენი სამშობლო დატირებული...

ლადო მაჭავარიანი.

ქართული ენა

ვის არა აქვს წაკითხული იაკობ გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“. იქ განთქმული მეცნიერის კარლ ფოსტის აზრია მოყვანილი: მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია პროგრესის გზაზე იაროს, რომელიც აზრობს და მეტყველობს თავის დედა-ენაზე.

დღეს ყველამ იცის დედა-ენის დიდი მნიშვნელობა. მე პედაგოგი არ გახლავართ, მაგრამ არავითარი პედაგოგობა არაა საჭირო, რომ დედა-ენის მნიშვნელობა გათვალწინებული არ მქონდეს. თუ მას ვინმე აბუჩად იგდებს, იგი ან დიდი უმეცრებისაგან ხდება, ან დიდი ანგარებისაგან, კაცი ამგვარი ცხოველია, რომ იგი ხშირად ფულის გულისათვის არა თუ თავის დედა ენას გაყიდვის, არამედ თვით სამშობლოს ღალატზედაც არ შეჩერდება, მაგრამ ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ ეს, რომ ამგვარი მახინჯი ადამიანი იშვიათია. ვინც კი საქმეს სინდისით სჯის და ვისაც სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება სათამაშო ბურთად არ მიჩნია და ჰეროსტრატულის სახელის მოპოება უმთავრეს მიზნად არა აქვს დასახული, იგი ყოველთვის იტყვის: „რათა დღევანდელივით ტაატით არ იაროს ქართველი ერის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთ ადგილს, საჭიროა მას შეუბათ ძირში ჯერ ქართული, დედაენა და მხოლოდ ყევრად მოვუბათ რუსული და სხვა ენები. მაშინ და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვან სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და სამშვიდობო სადგურს მიაღწევს“.

ახლა გავიხსენოთ თუ ჩვენ ქართველობას სხვა რალა დაგვრჩენია. პოლიტიკურად, სოციალურად, ეკონომიურად, სარწმუნოებრივ ჩვენ ძალა არ შეგვწევს მაშ სხვა რა დაგვრჩენია, თუ არა დედაენა. ეს არის ჩვენი ქართველობის სახე, ჩვენი სიცოცხლის იმედი, ჩვენი წმიდათა წმიდა. ამის გამო დედა-ენის შელახვა ცუდ-უბრალოდ არავის არ უნდა შერჩეს: არც რუსს და მით უმეტეს არც არა რუსსა. ყველამ უნდა აშკარად იცოდეს, რომ დედა ენის გაქელვა, თვით ჩვენი ნაციის გაქელვაა. ამგვარ შემთხვევებს არსად არ უნდა ჰქონდეს ალაგი და ნამეტურ ქართულ დაწესებულებებში და სასწავლებლებში.

ამ დღეებში აქ ხმა გავრცელდა, რომ ახალ სასულიერო სემინარიაში, სადაც ჯერ კიდევ სწავლა არ დაწყებულა და სადაც ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლება, ზოგიერთი მოხელის პირადი ინტერესების გამო სურთ ზედ-მეტ საგნათ ჩათვალონო, ქართული ენის პრესტიჟი დასცენ, რომ ქართულის მასწავლებელი ცენზიანი პირი არ იყოს, რომ მისი სწავლებასამღვთო სჯულის მასწავლებელს მიანდონ და სხვა.

მართალია ამ გვარი ხმა დადის, მაგრამ ღმერთმა ნუ დამაჯეროს, რომ ეს ხმა გამართლდეს. რა მხრითაც უნდა მოვუაროთ საქმეს და რა ინტერესითაც უნდა იყვნენ გამსჭვალულნი თითოეულნი პირნი, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ ამ წმიდათა წმიდას ვინმემ თავისი უკმეხი ხელი შეახოს და ეს ჩვენი სახელი, რომლითაც ქართველი ერი სულდგმულობს, იხსენიების და იდიდების, ასე შეილახოს. სასწავლებელსაც მოთავე ყავს და სრული იმედია, რომ ხმა ხმად დარჩება და ქართული ენის ბედი ვილაცაების ხელში არ ჩაგარდება.

შეუძლებელია, რომ სასულიერო სემენარიის მოთავედ ღირსნი პირნი არ იდგენ. რაც ღნდა თქვან, მაინც მრწამს, რომ ეს პირები უეჭველ დიდი გრძნობით — მამულის სიყვარულით იქნებიან აღვსილნი და შეუძლებელია რომ არ იცოდენ, რომ დედა ენის გაქელვა თვით ერის სიცოცხლის დაქელვაა

ბ. ოდიტელი

ახალი ამბავი.

საქართველოს ეგზარხოსი ქუთაისში. გუშინ დილით ფბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა საქართველოს ეგზარხოსი ბლატონი. ქუთაისის სადგურზე მას მიეგება იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი, ქალაქის მოურავი, ბ ნი ი. მ. ჩიქოვანი, გუბერნიის მარშალი თ და დ. ო. ნიჟარაძე, ვიცე გუბერნატორი და სამღვდელობა. სადგურიდან ეგზარხი წაბრძანდა სასულიერო სასწავლებლის შენობაში, სადაც მრავალი ხალხის თანდასწრებით აკურთხა ქუთაისის სასულიერო სემინარია. სიტყვა წარმოსთქვა სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურემ. შემდეგ თვით ეგზარხმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც სხვათაშორის ის აზრი გაატარა, რომ განათლება უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზე, ადგილობრივ ენას კი მეორე ხარისხის ადგილი მიაკუთნა.

ამავე დღეს ეგზარხოსმა ინახულა ქუთაისის სხვადასხვა სასწავლებლები.

✦ სახ სკოლების მასწავლებლებს, სწავლა განათლების სამინისტ. განკარგულების თანახმად მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან მოემატათ თვეში ამ ჟამად დანიშნული ჯამაგირზე თითო თუმანი, მაგ. რომელნიც ირიცხებიან ნამდვილ სამსახურში. ასე რომ თვეში მიეცემათ 50 მან. ხოლო რომელნიც ღროებით დანიშნული არიან ჯარში გაწვეულთა ადგილებზე, მათაც მიეცემათ მომატებული ჯამაგირი ერთი თუმანი ე. ი. თვეში 40 მან.

✦ კავკასიის სამხსწვავლო ოლქის მზრუნველი ბ ნი რუდოლფი პეტროგრადს გაემგზავრა რომელიც სახელმწიფო საბჭოს საფინანსო კომისიის სხდომებში მიიღებს მონაწილეობის და დაიცავს თბილისში პოლიტეხნიკუმის გახსნის საკითხს.

✦ ვინაიდან ოზურგეთის სამეურნეო საზოგადოებისათვის საჭირო ყოფილა სამეურნეო იარაღები, ამის გამო ხსენებული საზოგადოების თავჯდომარე აცნობებს დასავლეთ საქართველოს აგრონომს ა. მ. ვასილევსკეს, რომ განუმაოტოს მას თუ სად შეიძლება ასეთი იარაღების შოვნა, ან რა და რა ფასებში.

✦ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი, რომელიც სამსახურის გამო ბათუმის ოლქში იყო წასული დაბრუნდა ქუთაისში და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა თხოვნით მიმართა, ქუთაისის საგუბერნიო აგრონომის თანამდებობის აღმასრულებელ ა. მ. ვასილევსკის დაჩქარებით მიაწოდოს ცნობები გუბერნიის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, თანახმად უკანასკნელ სამეურნეო აღწერისა.

✦ 1 ნოემბრიდან 15—დე ავათ გამხთარ ქალ. ქუთაისში ქუნთრუშით გახდომის შემთხვევა ყოფილა 15, ყვავალით 3, საოფლეთი 12, მუცელათი 7, ხუნაგით 5.

✦ 11 ნოემბრიდან ადგ. რელურ სისწავლებელში დაიწყეს მოწაფეთათვის საუზმეების დარიგება; როგორც გავიგეთ საუზმეს აძლევენ მოწაფეებს თურმე შედარებით ძლიერ იაფად. მოწყობილი ყოფილა სუფთად და მზადდება საუკეთესო ღირსების სანოვაგისაგან. მადლობის ღირსნი არიან ის მანდილოსნები, რომლებმაც იკისრეს ასეთი სასარგებლო საქმის მოგვარება.

✦ ფოთიდან ქალაქის გამგეობამ მიიღო 148 ფუთი შაქარი და გადასცა მომხმარებელ საზოგადოება „კოოპერაციის“, რომელიც ამ დღეებში შეუდგა გაყიდვას.

✦ ქალაქის გამგეობამ ქ. ფოთში შეიძინა კიდევ 5 ვაგონი „რაზმოლის“ ფირმის პურის ფქვილი, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს,

✦ დიდ ჯიხაიშში 9 ნოემბერს ავაზაკებს მოუკლავთ ეჯარი თედორე ნუცუბიძე, მკვლელებს ის ხანჯლით ორმოც ნაწილად დაუჩეხიათ, რომელიც აღმოაჩინეს ბაზრის მახლობლად მიგდებული.

✦ ხუთშაბათს ქალაქის თეატრში გაიმართება აშუღების საღამო, ცნობილი ჰაზირის ხელმძღვანელობით:

✦ დღეს დამთავრდება სოადარიგო ჯარის კაცია ოჯახების დახმარების დარიგება, რაც სამი დღეა სწარმოებს.

✦ 18 ნოემბერს, ქუთაისის საოლქო სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია გასარჩევად შემდეგი პირების საქმეები: 1) ნიკიფორე მეცხვარიშვილის, რომელსაც ბრალს სდებენ 1707 მუხლის ძალით. 2) მაურაპალ გოლაძის, ეხება პირველი ნაწ. 347 მუხლი 3) აღ. მნიშვილის, პასუხის გებაში მიცემულია კანონის 1545 მუხლის ძალით. 4) დავით ტებლოშვილს, პასუხის გებაში მიცემულია 1630 მუხ. ძალით. 5) მიხეილ თედორაძის, I ნაწ 347 მუხ. ძალით. 6) იასონ მურცხულაძის მე 9 და მე 2 ნაწ. 1455 მუხ. ძალით 7) ევაკ მარგვიალს პასუხის გებაში მიც. 148 მუხ. ძალით.

✦ საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოების ყრილობა დანიშნულია 12 ქრისტეშობისთვეს, ქ. თბილისში ყრილობის სხდომები ერთ კვირას გაგრძელდება.

✦ სოზოგადოებ „რეგულიატორი“. 29 ოქტომბერს შესდგა „რეგულიატორის“. გამგეობის სხდომა, რომელმაც დაადგინა შემდეგი: 1) დაეგზავნოს კოოპერატივებს წერილი რომ, თანახმად უკანასკნელი საზოგადო დადგენილებისა, გადმოგზავნონ ავანსათ საქონელის შესაძენათ საჭირო ფული და ცნობები საჭირო საქონლის შესახებ; 2) დაქირავებული იქნას მცოდნე პირი კოოპერატივებისთვის საქონლის შემძენათ და სხვა.

✦ ქუთაისის სახალხო მკოდების დირექტორმა მიიღო განკარგულება, რომელშიდაც მოხსენებულია, რომ ყველა იმ საეკლესიო სკოლების მასწავლებლებს, რომელნიც მოისურვებენ სამინისტრო უწყებაში მასწავლებლათ გადასვლას სამსახურში ჩაერიცხებათ ის წლები, რამდენიც საეკლესიო სკოლებში უმსახურიათ.

✦ ქუთ. გუბერნიის ბირველი რიონის ინსპექტორი ბრუსილოვსკი, რომელიც სკოლების სარევიზოთ იყო წასული სოფლებში უკვე დაბრუნდა ქუთაისში. რევიზიის შედეგი ძლიერ უნუგეშო ყოფილა.

კავკასიის ქრონიკა.

თბილისი. 14 ნოემბერს მაღალ უმაღლესობა დიდი მთავარი, კავკასიის მეფის ნაცვალი ჩამობძანდა. [illegible] ხვდენ მაღალ უმაღლესობა პრინც. პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგსკი, დიდი მთავარი რომან პეტრეს ძე, სამხედრო და სამოქალაქო თანაშემწენი, სახელმწიფოს საბჭოს წევრი გუბერნიის წინამძღოლი თავ. აბხაზი, კამენდანტი და მთავრობის და ქალაქის წარმომადგენელნი.

— **იქიდამვე** იწერებიან, რომ ამ მოკლე ხანში კავკასიის ოლქის მზრუნველი ბ-ნი გუდოლფი პეტროგრადს მიემგზავრება, სადაც სახელმწიფო საბჭოს საფინანსო კომისიაში უნდა დაიცვას პროექტი თბილისის პოლიტეხნიკოების დაარსების შესახებ.

— **თფილისში** ბლომად გაჩდენ მეეტლე მალაკნის ქალები. როგორც ამბობენ, ესენი რიგიანად ატარებენ ეტლებს და ზრდილობიანადაც ეპყრობიან მგზავრებს.

— იქიდანვე ცნობა მოვიდა, რომ მესამე სამხედრო სეხზე თითქმის თერთმეტ მილიონი მანეთზეა ხელი მოწერილიო.

— თფილისის კოოპერატივები შაქრის გაყიდვის დროს უპირატესობას თავიანთ წევრებს აძლეევენ. პირველში მათ აძლევენ შაქარს, დანარჩენი პირნი კი რიგში უნდა ჩადგენ ან ბოლოს იყიდონ შაქარი. ამის გამო ქალაქის გამგეობამ გააფთხილა ქოოპერატივები, რომ თუ შაქარს ერთნაირი წესით არ მიყიდით ყველა მყიდველებს, შაქარს აღარ მოგცემთო.

ბაქო. არტისტიულ კლუბს ცეცხლი გაჩენია და დამწვარ-.

— **ასტრახანიდან** ბაქოს ქალაქის გამგეობის დეპეშნთ სთხოვენ 500 ტომარა ფქვილი მოგვაწოდეთო.

— **კავკაკი.** ერთი ბანკის მეთაურობით მალე შედგება მოსკოვის ვაჭართა აქციონერული საზოგადოება, რომელსაც 12,000,000 მანეთი კაპიტალი ექნება. მიზანი ამ საზოგადოებისა ტყვიის და ვერცხლის მადნების დამუშავებაა კავკასიაში.

ოვიათი ქალის დაკრძალვა.

13 ნოემბერს დ. ევირიდაში დაკრძალეს საგვარეულო სასაფლაოზე განსვენებულის დეკანოზის დავით ღამბაშიძის ქვრივი ოდდა ნიკოლოზის ასული.

განსვენებულის ბინაზე დიდიდანვე იწყო ლენა ხალხმა. ამინდი სასიამოვნო იყო.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი ნელი ნაბიჯით მიეშურებოდა იქ საიდანაც ეუნდა გამოესვენებიათ ეველასათვის საყვარელი, ეველასგან პატიეცემული მოხუცი „დიდედა“ გვამი; რომლის პატიოსანი გული მთელ თავის სიცოცხლეში ძალზე ჰფეთქდა სამშობლოს კეთილ დღეობისა დაწარატებისათვის.

მიცვალებული შემკული გვირგვინებით და ცოცხალი ეკალეებით კამოასვენეს დიდძალი ხალხის დასწრებით საკუთარ სახლებიდან, ეკლესიის წმ. დავითა და კონსტანტინეს ეკეკლესიაში. გზაში და წირვაზე მსმენელების ეურს ატკბობდა ქუთაისიდან მოწვეულ ქართულ მგალობელთა გუნდი, რომელიც ქორაძის კილოზე გალობდა. წირვა და წესის აგება გათავდა ნაშუადღევის ორ საათზე ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოთქვა წირვის ბოლოს და წესის აგების დროს. კანიცადენზე წარმოსთქვა სიტყვა მღ. იოანნე ცქიტიშვილმა, რომელმაც დასურათა მიცვალებული „დიდედა“, როგორც უხვი ქველმოქმედი სამშობლოს ასპარეზზედ ჩუმი და ნაოფიერი მოღვაწე, თანამედროვე ქალთა ფრიად საეურადღებო მაგალითების მიმცემი თავის ცხოვრებიდან, შეუდარებელი მეოჯახე დისახლისი და სამაგალითო მეუღლე და დედა.

მაშა კონსტანტინე ანთაძემ აღნიშნა, რომ იგი საუკეთესო თვისებებს სთესავდა გარშემო ტნათესს მრავალ ნაოფი მოჰქონდა აღნიშნა რომ იგი იყო დირსეული მეუღლე მე-XIX საუკუნის ქართველი რკინის მღვდლის დავით ღამბაშიძისა.

უხუცესმა მასწავლებელმა ბესარიონ კეკელიძემ ლექსი უძღვნა მიცვალებულს და მოკლე სიტყვით დასურათა მისი ღვწლი.

მასწავლებელმა, ჩხაიძის ქალმა, სხვათა შორის უთხრა რომ მენ მოსაუბრეს ეელეიძებდი ისეთ აზრებს, რომლითაც ბოროტების გზას ასცდებოდა, აგრძნობინებდი, რომ ადამიანი თავის საკუთარ კერპს არ უნდა ემსახურებოდეს, მედგრად ებრძოდეს ყოველივე დაბრკოლებებს და სხ...

კაზ. „სამშობლოს“ თანამშრომელმა ბ. გორგომ გრძელ სიტყვაში დასურათა მიცვალებული, როგორც ადამიანი, ამ სიტყვის სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ნამდვილი მნიშვნელობით, ჩვენი ქველ მოძმენი, კეთილშეკრა, არა „ჯეულებრივი დიასახლისი შეუდარებელი დედა და სხ.

ოთხის სასოის ნახევარზე გულდაშეკრა შვილები და შვილიშვილები, ნათესავები და ურიცხვი — სიზოგადოება გრძნობიერად გამოეთხოვა საუკარელ „დიდედას“ და მიაბარეს საუტყოვად კეკეთებულ აკლდემს თავის მეუღლის დეკ. დავითის გვერდით

განისვენეთ ტკბილად საუკუნო სავანეში ორნო ერთმანეთის უკეთესო ტვირთმძიმენო მაშვრალნო და ინუკეშეთ მათ, რომ თქვენი გზა ამ სოფლად ღირსეულად განვლეთ.

ბ.

უნივერსიტეტთა რექტორები და ქართველი ახალგაზდობა.

თუ რაოდენათ გაძნელებულია ქართველ მოზარდი თაობისათვის უმაღლეს საწავლებლებში მიღება, თუ რა თვითპროტესტობას იჩენენ უნივერსიტეტთა რექტორები და მოქალაქისათვის რა დამამცირებელი პროტექციებია საჭირო, რომ მათ მიიღონ სწავლა მეცნიერების ტაძრებში, ამის სურათს სხვათა შორის იძლევა წერილი სახელ. საბჭოს წევრის თ-დი ვ. ერისთავისა, რომელსაც მიუმართავს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ბ-ნ ბ. ვ. შტიურმერისათვის. მოგვყავს ხსენებული წერილი:

მოწყალეო ხელმწიფეო.

ბარის ვლადიმერის ძე!

ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო თქვენს მაღალი აღმატებულებას რა ცუდს მდგომარეობას განიცდის კავკასიის მოსწავლე ახალგაზდობა, რომელსაც მაღალი სწავლის მიღებას გზა მეტად შევიწროებული აქვს; ამ გზაზე მას ეღობება წინ ნივთიერი და ზნეობრივი დაბრკოლებანი, რომელთა დაძლევას ხსენებული ახალგაზრდობა ვერა საშუალებით ვერ ახერხებს.

ამის მიზეზები ერთი მხრით ისაა, რომ მთელს რუსეთში საზოგადოთ მაღალი განათლების მისაღები ცენტრები მეტათ ნაკლებია, მოთხოვნილება კი ძლიერ დიდი

მეორე მხრით ეს ცენტრები რაღაც განკერძოებულათ დგას და მართვა-გამგეობით დამოუკიდებელია რაიცა ცენტრალურ მართებლობას ხელს უშლის მთელს იმპერიაში შესაფერისად გასცეს პასუხი მცხოვრებთა განათლება—განვითარების მოთხოვნილებას, რაც აუცილებლად უნდა შეადგენდეს საგანს სახელმწიფოებრივი მზრუნველობისას, და არა რომელიმე უნივერსიტეტისას, რომელთა რექტორებიც მხოლოდ იმის ცდაში არიან რომ სახელმწიფოში საკუთარი თვით მყრობელი ხელმწიფობის როლი ითამაშონ.

დავიწყებ იქიდან, რომ კავკასიაში არ აოსებობს მაღალი სასწავლებელი არც სპეციალური და არც საზოგადო განათლებისა, რომელთა საჭიროებას საზოგადოება მწვავეთა გრძნობს. და ამასთანავე რუსეთის ყველა უნივერსიტეტი კავკასიელებს არ ღებულობს; ღებულობს მხოლოდ ორი უნივერსიტეტი; ყოფილი ვარშავისა და ნიკოლოზის (სარატოვში), რომელზედაც კავკასიის სამოსწავლო ოლქია მიწერილი.

ამ უნივერსიტეტებში შესვლის უფლებაც მხოლოდ ქაღალდზეა აღნიშნული, რადგანაც ბბ. პროფესორები ყოველ ღონის ძიებასა ხმარობენ, არ დაუმორჩილონ ცენტარალური მთავრობის განკარგულებას კავკასიელთა განათლების საჭიროების შესახებ, რადგანაც ასეთი განკარგულება მათ სამინისტროს შიერ ძალათ თავზე მოხვეული ბორკილათა დი შემავიწროებლათ მიაჩნიათ, რაიცა თითქო ხელს უშლისთ, მათ „უმაღლესი განათლების და უმაღლეს პროგრესიულ მისწრაფებათა“ ფრთის გაშლაში.

როგორც მოწმობს ამასთანავე წარმოდგენილი წერილი ერთ უბედურ ახალგაზდა მშობელისა, ნიკოლოზის უნივერსიტეტმა სარატოვში (ორცდაათი) ახალგაზდა უარით გაისტუმრა, რომელთაც კავკასიის საშუალო სასწავლებელი დაესრულებიათ, ხოლო უპირატესობას კი მისცა მეზობლური თავაზიანობის მიხედვით ყაზანელებს თუმცა ამათთვის მათ საკუთარი უნივერსიტეტი კარი ყოველთვის ღია აქვს.

ამას გარდა მე ხელთა მაქვს ცნობები რომ როსტოვის უნივერსიტეტის რექტორი, გაუგია თუ არა რომ რწმუნებულს მისდამი უნივერსიტეტში ორს კავკასიელ სტუდენტს ადგილის შოვნას უპირებდენ, პირადად გაეშურა პეტროგრადს, რათა სამინისტროს წინაშე მედგრად დაეცვა თვისი სასწავლებლის ავტონომიური უფლება.

პარტიკულიარობა, განცალკევება კარგია ზოგიერთ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ცხოვრების განწყობილება ამას მოითხოვს; ეს იდეა ჩვენში გერმანიიდან გვეწვია, თუმცა იგი ახლა გერმანიაშიაც უკვე დახშული და გაღამდნარია საზოგადო იმპერიალურს მიდრეკილებასა და გატაცებაში.

თუ კი პროფესორებს ავიწყდებათ ყოველი უპირატესობა დიდი სახელმწიფოსი ტერიტორიის ერთეულის სასარგებლოთ—განსაკუთრებით ძირითადი გაბატონებული მცხოვრებლებისა და ესწრაფებიან განკერძოვებასა და ინდივიდუალობას, მაშინ ეგ უფლება, მართალი უნდა ესთქვათ, ყველაზე უწინ რუსეთის იმ ერებს უფრო ეკუთვნის, რომლებიც მის ქვეშევრდომობაში შევიდენ მათი ცხოვრების ნიშნობლივი განწყობილებით, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს დაარსებამდე მტკიცედ არსებობდა. აქედან ბუნებრივათ გამომდინარეობს, რომ ამ პირობების მიხედვით სამართლიანი იქნებოდა უფრო ადრე გველაპარაკნა ასეთი განაპირა ქვეყნის კმა საყოფელ მართვა გამგეობის შესახებ, ვიდრე უნივერსიტეტეტების ავტონომიაზე, რადგანაც არც ერთი ქართველი არ ისურვებს თვისი ძვლები მისთვის უცნობი და უცხო პორტატურისა და ლვოვის კედლებთან) დასამაროს, თუ კი ის არ იქნება გამსჭვალული იმ შეგნებით, რომ იგი ისეთივე ერთგული ქვეშევრდომია რუსეთის მეფისა, როგორც ყოველი რუსეთის მოქალაქე.

მიუხედავათ ამისა, მე მოვახერხე მინისტრის თანაშემწის ტს. შევიელოვის წყალობით მიღება ნიკოლოზის უნივერსიტეტებში სამი ახალგაზდასი, რომლებმაც მე მომმართეს. ერთის შესახებ საქმე ჯერ აც არ დაბოლავებულა

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველ სტუდენტთაგან მრავალი ეტანება სამხედრო საექიმო აკადემიას. როცა აკადემიის უფროსათ გენერალი ვედეიმინოვი იყო და მისი წინამოადგილენი, ძალიან ხშირად პროტექციის მეოხებით ანატომიური თეატრის და კაბინეტის დარაჯების შვილებს ღებულობდენ სამიანი ატესტატებითაც კი.

მაგრამ სამხედრო მინისტრის კანდიდატებისათვის კი კარი ჩაკეტილი იყო. ერთი მათგანის თქმით, მინისტრის ვაკანსია მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ ეს პროფესორების სასურველიაო; ყოველ სხვა შემთხვევაში მინისტრის კანდიდატს უარს ეუბნებოდენ, მაგრამ, როცა აკადემიაში რეფორმა მოხდა, მიღების წესიც ოდნავ შეიცვალა. მიუხედავათ ამისა ჩემთვის, ვითარცა უმაღლესი საკანონმდებლო პალატის წევრისათვის, აკადემია მაინც მივუწდომელი შეიქნა: ჩემს შუამდგომლობას გასავალი არა ჰქონდა. მართალია, მიმდინარე წელს ორი ჩემი კანდიდატთაგანი თბილისის გუბერნიიდან მიღებულ იქმნა, მაგრამ აქ საქმეს მოეშველა გავლენა გარეშე პირთა, რომელნიც ახალგაზდათა ბედზე თავისთავად ზრუნავდენ

ხოლო ყველა ჩემი კანდიდატები ქუთაისის გუბერნიიდან უარით გაისტუმრეს: აბულაძე, ალიბეგოვი (სომეხია), ბოკერია და ყენია, რომელთაც სამხედრო ბეგრის მოხდა თავს ატყდებათ.

თუმცა სანიტარის უფროსმა ინსპექტორმა აღმოთქვა, რომ წლის განმავლობაში, დაიცლება თუ არა ვაკანსია, იმათ მიიღებს აკადემიაში, ხოლო ჯერჯერობით პსიქონერვოლოგიურ ან საქალაქო მედიკურს ინსტიტუტში უნდა მოახერხონ შესვლა.

ზემოხსენებულის მიხედვით და, იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფოს მოვალეობაა ახალ გაზდებს გზა მისცეს უმაღლესი განათლებისა, რის გამოც მათ სამხედრო ბეგრის მოხდის შელავათიც ეძლევათ,—დიდი პატივისცემითა ვსთხოვ თქვენს მაღალ აღმატებულობას, როგორც იმის შესახებ, რომ ქართველებს გაადვილებული ჰქონდეს მაღალ სასწავლებლებში შესვლის პირობები, აგრეთვე იმის შესახებ. რომ დაუყონებლივ მიიღოთ მოწყალება და ხსენებული ახალგაზდანი მიაღებინოთ აღნიშნულ ინსტიტუტებში, ხოლო თუ მინისტრის ვაკანსიები კიდევ ღიაა დარჩენილი—აკადემიაში ჩაარიცხვინოთ.

სახელ. საბჭოს წევრი თ-დი ვ. ერისთავი.

პროვინციის ცხოვრება

— **დ. ხობი.** (ზუგდ. მაზრა). მოავრობის აგრონომს ა. მ. ვასილევსკის ოთხი სოფლის სიზოგადოებიდან და კოოპერატივებიდან დეპუტაცია მისვლია. დეპუტაციას დაბა ხობში სამეურნეო შკოლის გახსნა უთხოვია. ხობის სიზოგადოებას აღუთქვამს მიცეს საშკოლო მიწა და რაოდენამედ საშკოლო შენობის აგებაშიც მონაწილეობა მიიღოს

— **სოფ. რულეთი.** (შორაპ. მაზრა). აქ ამ დღეებში აჩაღები ფ. გოგაიშვილის სახლს დაეცნენ. სახლის პატრონი ეზოში გამოიწვიეს, სიკვდილს დაუშექრენ და ფული მოთხოვეს. რადგან გოგაიშვილმა ფულზე უარი უთხრა, აჩაღებმა გოგაიშვილი წაიყვანეს, სცემეს, 120 მანეთი წაართვეს და დაიმალენ.

— **დ. ცხინვალში** (გორის მაზრა). მომხმარებელი სიზოგადოება დაარსეს. ცხინვალს გარშემო ბევრი სოფელი აქვევა ამ სკოლებისთვის, რასაკვირველია, ბევრი სამოსწავლო ნივთებია საჭირო. ძრიელ კარგი იქნება, რომ კოოპერატივმა ამ ნივთებითაც დაიწყოს ვაჭრობა. ეს საქმე ძრიელ აღვილად შეუძლია იკისრონ ქ. შ. წ. კითხვის გამ. სიზოგადოების ცხინვალის განყოფილებამ. ამით სიზოგადოებაც კაიჩენს კარგ შემოსავლიან წყაროს და მოსწავლე ბავშვებიც ჩარჩების ხელიდან თავს დაიხსნეენ. ს.

— **სოფ. ჯგალუა** (სამეგრელო). კორესპონდენტი შემდეგს გარშემოებაზე აქცევს ყურადრებას: სოფოსტო კანტორა ომის ველიდან მოსულ წერილებს ერთი სოფლის მეგიერ მეორეში გზავნის ჩაქვინჯის წერილებს კაშუამში გზავნის და წერილები იქ უპატრონოდ ეროა.

— **ზესტაფონი.** სანოვაგის მზრივ შეეწროებას არ ვგრძნობთ, ახლოდ მაქრის და ბურის ოქვილის უშოვრობა გვაწუხებს.

— **ჯიათურა.** აქ სახალხო უნივერსიტეტი არსებობს. 6 ნოემბერს მოხდა ასალი არჩევნები. წევრებად იქმნენ არჩეულნი: გიორგი ხუნდაძე, ალ. გრიგოლაშვილი, ეგ. თოდუა, აბესაძე, მელიქოვი, სიხარულიძე, ხარიტაშვილი, გ. მინაზარიანი. მათ კანდიდატებათ: ბ. მსალაძე, ილ. ბუტრიაშვილი, ისრან კაციტაძე; სარეგიზიო კომისიაში წევრებად: ივანე ოქუზაძე და დათეშვი. კანდიდატებად: კოლია ჩხეიძე და ანნა კობაძე. ზემოხსენებულნი პირნი ერთხმად იქენენ არჩეულნი

რადგან ძველ გამგეობას თავალ საჩინო არარა გაუკეთებია, სასურველია რომ ახალმა გამგეობამ მეტი ენერგია და საქმიანობა გამოიჩინოს, ჭიათურაში დიდძალი მუშა ხალხია და იმედია გამგეობა დემოკრატიულ ნიადაგზე თვითმოქმედების სივრცეზე ჩამორჩენას არ დაიწყებს.

რუსეთი.

ტრეპოვი სახ. სათათბიროს პირველ სხდომაზე შეერთებულ მთავრობის სახელით წაიკითხავს დეკლარაციას, რომელიც 3 ნაწილისგან უნდა შესდგებოდეს. პირველ ნაწილში ხაზგასმული იქნება რომ მთავრობას აზრათა აქვს ომი გამარჯვებამდის აწარმოვოს და ამ ხნის განმავლობაში მოკავშირეთესთან მტკიცე კავშირში ყოფნა. ამავე ნაწილში იქნება მოხსენებული პასუხი ბეტმან ჰოლვეგის უკანასკნელი განცხადებისა და დამტკიცებული იქნება რომ ომის დაწყება გერმანიის ბრალია. დეკლარაციის მეორე ნაწილში გამოთქმული იქნება ის აზრი, რომ მთავრობისა და სათათბიროს თანამშრომლობა შეიძლება და საჭიროც არის. აქვე იქნება განცხადებული პასუხი პოლონელთა პარტიის კოლოს შეკითხვისა და აღნიშნული იქნება, რომ ომის შემდეგ სახ. სათათბიროში შეიტანენ კანონ პროექტს მთელი პოლონეთის ავტონომიის შესახებ. დეკლარაციის მესამე ნაწილში ჩამოთვლილი იქნება ის კანონ პროექტები, რომელთა განხორციელებაც მთავრობას უპირველეს ყოვლისა მიაჩნია საჭიროდ.

— ამ ჟამად სათათბიროს ფრაქციების კრებები ხდება იმის გამოსარკვევად თუ რა გზას დაადგენ და როგორი დამოკიდებულება იქონიონ მთავრობასთან მემარჯვენეთა ფრაქციაში პურიშკევიჩს ცხარე სიტყვა უთქვამს; მას განუცხადებია სათათბიროს პირველ სხდომაზე გამოვალ ტრიბუნაზე და პროტოპოპოვის დათხოვნაზე დავითანახმებ დეპუტატებსო. პროგრესიულ ნაციონალისტები ტრეპოვის გამოსვლას უცდიან. კადეტები იმ აზრისანი ყოფილან, რომ შტიურმერის მაგივრად ტრეპოვის დანიშვნა თვით მართვა გამგეობის სისტემის შეცვლას არ მოასწავებს.

— თავის დროზედ გაუგებარი იყო, თუ რად დასჭირდა მთავრობას სახ. სათათბიროს 8 დღით დათხოვნა; როგორც ეხლა ირკვევა ტრეპოვს უნდა წაეკითხა ვრცელი მოხსენება მთავრობის თვალსაზრისის შესახებ სხვა და სხვა საკითხებზე; ამისათვის კი საჭირო იყო მომზადება და სწორედ ამიტომ დაუთხოვნიათ სათათბირო.

— პრემიერობასთან ერთად შინაური საქმეთა მინისტრის პორტფელიც შეუძლევიათ ა. ფ. ტრეპოვისათვის მაგრამ უკანასკნელზე მას უარი უთქვამს.

— კრასნოპრსკის ვაჭრებს გუბერნატორისათვის წარუდგენიათ წერილობითი მოხსენება, რომელშიაც სთხოვდნენ, განკარგულება მოეხდინა მას, რომ გაეზრიკათ მათი საწყობები; დე, ხალხი დარწმუნდეს, რომ ჩვენ სპეკულიანტები არა ვართო.

მეორე დღეს გუბერნატორს მართლა გაუგზავნია კაცები გასაჩხრეკად და მილიონერ სებასტიანოვის საწყობებში აუარებელი შაქარი, თუთუნი და სხვა საქონელი აღმოუჩენიათ.

— გზათა მინისტრს ა. ფ. ტრეპოვს სამხრეთ დასავლეთ რუსეთის რკინისგზის მთელი უმაღლესი მმართველობა და იურსიკონსულტები უმოქმედობისა და უფლებათა გადაჭარბებისათვის სამართალში მიუცია

— პროგრესიული ბლოკი მთავრობასთან თანხმობით მუშაობის საკითხმა ორად გაჰყო. საერობო ოქტომბრისტები მთავრობასთან დაახლოვების ნომხრენი არიან, კადეტებს კი ეს ტრეპოვების მთავრობასთან შეუძლებლად მიაჩნიათ და მდგომარეობის გამორკვევას უცდიან.

უცხოეთი.

ინგლისური გაზეთები ერთხმად სწერენ, შტიურმერის გადაყენებასა და ტრეპოვის დანიშვნასთან ერთად რუსეთში საბოლოოთ წაკიდა გერმანოფილური სოლის ცეცხლი. ეს ამბავი ინგლისში ინტერესებს ამ ინ ... ინ ... ...